



საქართველოს ბაიოლოგიური დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/948
14/02/2019

948-09-2-201902141750



საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს
ელ.ფოსტა: www.csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში 2019 წლის 30 იანვარს შემოსული თქვენი წერილის (№3-284 29.01.2019) პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მდებარე მარკეტში შპს „ორი ნაბიჯი“ (ს/კ 204571668 ნუცუბიძის ქ. N221) „ჰანე“-ს ფირმის შვრიის ფანტელის შექმნის ფაქტს, რომელზეც დარღვეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ეტიკეტირების წესის მოთხოვნები, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა სასურსათო მაღაზიაში და შვრიის ფანტელის დისტრიბუტორ კომპანია შპს „ლორგო“-ში (ს/კ 209480239, მის: ქ.თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N42დ.).

2019 წლის 5 თებერვალს მარკეტის შემოწმებისას დადგინდა, რომ დახლზე განთავსებული სურსათის (შვრიის ფანტელი) შენახვის პირობები და რეალიზაციის ვადები ადილზე დაცული იყო. პროდუქციაზე განთავსებული იყო ქართული ეტიკეტი. ბიზნესოპერატორის მიერ წარმოდგენილ იქნა სასაქონლო ზედნადები, რითაც დასტურდება, რომ შვრიის ფანტელი „ჰანე“-ს მომწოდებელი არის შპს „ლორგო“ ს/კ209480239.

2019 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შპს „ლორგო“-ში (ს/კ209480239, ისანი-სამგორის რ-ნი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N42 დ). დოკუმენტური შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ არ არის დაცული სურსათის (შვრიის ფანტელი „ჰანე“) ეტიკეტირებისადმი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 ლარის ოდენობით "სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" 74¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ბიზნესოპერატორს მიეცა მითითება ბაზარზე განთავსებული შვრიის ფანტელი „ჰანე“-ს ეტიკეტირება მოახდინოს სურსათის ეტიკეტირებისადმი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

